სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №54
გამარტივებული შესყიდვა

1. ხელშეკრულების დადების საფუძველი

1. გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივი საფუძველი: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით " სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტი, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტი.

2. დაფინანსების წყარო: 2021 წლის დარგობრივი ჯანდაცვის პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“)**
წარმოდგენილი მისი დირექტორის **მანანა ელიაშვილის** სახით,
მის: **ქ. რუსთავი წმ.ნინოს ქ. N5,**
საიდენტიფიკაციო კოდი: **216296880**

☎ **(0 341) 24 18 05**
✉ rustavifsiqo@gmail.com

ბანკი: **ს.ს. თიბისი ბანკი**
ბანკის კოდი: **TBCBGE22**
ანგარიშსწორების ანგარიში: **#GE76TB7828136080100001**
(შემდგომში „შემსყიდველი“)
და

მეორეს მხრივ	**შ.პ.ს. “ქართული პროგრამული სისტემები”,** (შემდგომში „მიმწოდებელი“)
წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული დირექტორის	გრიგოლ გრძელიშვილის სახით,
მის:	0186, თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N8
საიდენტიფიკაციო კოდი:	202198754
ტელ:	**+995597766761**
ელ.ფოსტა:	t.matiashvili@gss.ge
ბანკი:	სს “თი ბი სი ბანკი”
ბანკის კოდი:	TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:	ა/ა GE41TB0600000027467795

შემსყიდველი და მიმწოდებელი ორივე ერთად შემდგომში მოხსენებული როგორც „მხარები“, ხოლო ცალ– ცალკე როგორც მხარე, ვდებთ წინამდებარე გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში **შემსყიდველი** უფლებამოსილია დაუკვეთოს, ხოლო **მიმწოდებელი** ვალდებულია მოახდინოს **„SuperFin 6”** **(CPV48443000** - ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტები**)** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამული პროდუქტი, რითაც შემსყიდველი ავტომატურად იღებს **დანართი 3**–ში აღწერილი ყველა მომსახურების მიღების უფლებას.

2.2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებელი, ტექნიკური სპეციფიკაციები და მაჩვენებლები შეიძლება დამატებით განისაზღვროს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

3. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება, გადახდის ვადები და პირობები

3.1. **“SuperFin 6”** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამული პროდუქტის ღირებულება („შესყიდვის საერთო ფასი“) წანამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეადგენს 204.00 (ორასოთხი) ლარს და მასზე მომსახურების მიწოდების ვადათ განისაზღვრება 08/02/2021-დან 08/05 2021 ჩათვლით. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

3.2. მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება **"SuperFin 6"** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამული პროდუქტისთვის განისაზღვრება 68.00 (სამოცდარვა) ლარით. თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

3.3. შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად მომსახურების მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის საჭირო ღირებულებას დამატებული უკვე გაწეული დამატებითი მომსახურების ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. პროგრამული პროდუქტის მიღება – ჩაბარების წესი

4.2. **მიმწოდებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს პროგრამის აქტივაცია **შემსყიდველის** შემდეგ მისამართზე: ქ.რუსთავი, წმინდა ნინოს ქუჩა N5**. (მიწოდების ადგილი)**

4.3. **მიმწოდებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე დაარეგისტრიროს **შემსყიდველი** თავის სერვერზე, ამავე სერვერზე (ონლინე რეჟიმში) არსებული ყველა საჭირო დოკუმენტით სარგებლობისათვის.

4.4. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარება ხდება მიმწოდებლის მიერ წარდგენილი/ატვირთული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. **შემსყიდველი** იხდის 3.2 პუნქტის მიხედვით წარმოშობილ ღირებულებას ყოველთვიურად, ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის ყოველი მიმდინარე თვის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2. ანგარიშსწორების ვადა : მომსახურების მიღებიდან, თვის დასრულებიდან არა უმეტეს 6 სამუშაო დღისა, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი/ატვირთული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

6. ცვლილებები

6.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები **შემსყიდველისთვის**. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

6.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების **დანართის** სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ფორსმაჟორი

8.5. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება, შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორსმაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

8.6. ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული **შემსყიდველისა** და **მიმწოდებლის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.7. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხეხრხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.8. ფორსმაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. **შემსყიდველს** უფლება აქვს განახორციელოს პროგრამისა და მონაცემთა ბაზის კონტროლი, რათა დარწმუნდეს სამუშაოს შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. თუ შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა, რომ პროგრამას გააჩნია რაიმე დეფექტი მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. **მიმწოდებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი პროგრამის **„SuperFin 6“** აქტივაცია.

9.3. **მიმწოდებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე დაარეგისტრიროს **შემსყიდველი** თავის სერვერზე Online რეჟიმში არსებული ყველა საჭირო დოკუმენტით სარგებლობისათვის.

9.4. **მიმწოდებელი** ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მისცეს საშუალება **მიმწოდებელს** განაახლოს შეძენილი პროგრამა **„SuperFin 6“** შემსრულებლის ინტერნეტ სერვერიდან..

9.5. **შემსყიდველის** მიერ ანგარიშსწორების შეუსრულებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში **შემსრულებელს** აქვს უფლება წამოაყენოს პრეტენზიები.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ **შემსყიდველის** მიერ აღმოჩენილი იქნება რაიმე შეცდომა პროგრამასთან **“SuperFin”** მუშაობისას, **მიმწოდებელი** ვალდებულია აღმოფხვრას არსებული უმოკლეს ვადაში, რომელიც დათქმული იქნება ორივე მხარის მიერ.

9.7. **მიმწოდებელის** მიერ **შემსყიდველის** მხრიდან მოთხოვნილი დამატებითი მომსახურება ფასიანია. დამატებითი მომსახურების სახეები და ტარიფები მითითებულია **დანართში** 2.

9.8. ამ ხელშეკრულებით დადგენილი ფასების ცვლილების შემთხვევაში **მიმწოდებელი** ვალდებულია წინასწარ (არანაკლებ 1 თვით ადრე) წერილობით აცნობოს შემსყიდველს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს 6.1. პუქნტით დადგენილ მოთხოვნებს;

9.9. პროგრამული პროდუქტის შეძენისას მისი ან ქსელური ვერსიის შემთხვევაში, მისი სერვერული ნაწილის, ინსტალაცია ხდება მხოლოდ ერთ კომპიუტერზე და შესაბამისად, განახლებებიც კეთდება მხოლოდ ამ ერთი ლიცენზირებული კოპიისათვის.

9.10. რამდენიმე კომპიუტერზე პროგრამის ერთი და იგივე ლიცენზირებული კოპიის ინსტალაციის შემთხვევაში **მიმწოდებელი** არ იღებს პასუხისმგებლობას პროგრამის კორექტულ მუშაობაზე.

9.11. არალიცენზირებული კოპიის აღმოჩენის შემთხვევაში **მიმწოდებელი** იტოვებს უფლებას საზღაურის გარეშე შეუწყვიტოს **მიმწოდებელს** ყველა ლიცენზია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მომსახურების ვადა არ იქნება გასული.

9.12. როგორც საწყისი ისე ხელახალი ინსტალაციის შემდეგ **მიმწოდებელმა** უნდა გაიაროს რეგისტრაცია **შემსრულებლის** სერვერზე. მომხმარებლის რეგისტრაციის გარეშე პროგრამა მუშაობს შეზღუდულად.

9.13. იმ შემთხვევაში, თუ **შემსყიდველი** ხელშეკრულების პირობებს არ შეასრულებს, **შემსრულებელს** აქვს უფლება:

- გადაიტანოს შესასრულებელი სამუშაოს ვადა;
- მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება;
- მოითხოვოს იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც გამოწვეული იქნა ამ სამუშაოს შეწყვეტით, ან შესასრულებელი სამუშაოს ვადის გადატანით.

9.14. **მიმწოდებელი** ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა **შემსყიდველის** კომერციულ, ფინანსურ და ტექნიკურ ინფორმაციაზე.

9.15. **შემსყიდველი** ვალდებულია, მკაცრად დაიცვას და არ დაარღვიოს **მიმწოდებლის** მიერ დადგენილი ლიცენზიური შეთანხმების თითოეული პუნქტი (**დანართი 1** რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს) და მოითხოვოს აღნიშნულის დაცვა საბოლოო მომხმარებლისაგან.

9.16. **მიმწოდებლის** მიერ სამუშაოს შეუსრულებლობის ან უხარისხოდ შესრულებისას, **შემსყიდველს** აქვს უფლება მოითხოვო ზიანის ანაზღაურება, წარუდგინოს პრეტენზიები და გააფორმოს ისინი შეტყობინების სახით.

9.17. **შემსყიდველი** ვალდებულია დროულად მოახდინოს ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ფინანსური ანგარიშსწორება.

9.18. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად. ერთი – **შემსყიდველს,** მეორე – **მიმწოდებელს**.

9.19. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მისი მიერ მიწოდებული მომსახურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და შემსყიდველის მოთხოვნებს.

10. სანქციები

10.1. შემსყიდველის მხრიდან ფინანსური ანგარიშსწორების დაგვიანების შემთხვევაში, **მიმწოდებელს** ავტომატურად შეუწყდება პროგრამის **"SuperFin"** განახლების საშუალება, ამასთან დავალიანების სრულ დაფარვამდე პროგრამები იმუშავებენ შეზღუდულად.

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის„მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების0.1%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4. თუ„მიმწოდებელი" ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი" დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების5%-ს ოდენობით.

10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მხარეთა შეთანხმებით;

10.6. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.6.1 თუ„შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.6.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

10.6.3 შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების სისტემატიური დარღვევის შემთხვევაში.

10.7. 1.3 პუქნტში მითითებული დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც არ იქნება დამოკიდებული შემსყიდველზე;

10.8 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.9. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს„მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს პროგრამისა და მონაცემთა ბაზის კონტროლი, რათა დარწმუნდეს სამუშაოს შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს მთ.ბუღალტერი **ქეთევან ლაფანაშვილი**

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დასკვნიი დებულებები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

12.2. ხელშეკრულების ხელმომწერნი ვალდებულნი არიან წერილობით ან ელექტრონული ფოსტით აცნობონ ერთმანეთს მომსახურების შეწყვეტის შესახებ მინიმუმ ათი სამუშაო დღით ადრე.

12.3. მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ **შემსყიდველს** ეძლევა პროგრამასთან შეზღუდული მუშაობის საშუალება. **მიმწოდებელი** იტოვებს უფლებას თვითონ განსაზღვროს ამ შეზღუდვების ფარგლები.

12.4. ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2021 წლის 08 მაისის ჩათვლით.

12.5. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2021 წლის 08 ივნისის ჩათვლით;

12.6. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ბ. ა.	**ბ. ა.**

RUSTAVI PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER LTD

Digitally signed by RUSTAVI PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER LTD
Date: 2021.02.08 16:01:13 +04'00'

N____ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დანართი N1

ლიცენზიური შეთანხმება

1. **ლიცენზიური უფლებები**. მოცემული ლიცენზიური შეთანხმება აძლევს **მიმწოდებელს** უფლებას გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი **„SuperFin 6"** და მისი ერთი სარეგისტრაციო ნომერი ერთ კომპიუტერზე ან ქსელური ვერსიის შემთხვევაში შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე. ეს ლიცენზიური შეთანხმება არ ვცელდება იმ პროგრამულ პროდუქტებზე რასაც იყენებს პროგრამა **„SuperFin 6"** მონაცემების შენახვისა და ექსპორტირებისათვის. მათზე ლიცენზიების შეძენა არის **შემსყიდველის** ვალდებულება.
2. **საავტორო უფლებები**. პროგრამული პროდუქტი არ წარმოადგენს **შემსყიდველის** საკუთრებას, პროგრამული პროდუქტის სურათების, ტექსტების, ანიმაციების და აპლიკაციების ჩათვლით. **მიმწოდებელს** არა აქვს მისი მოდიფიკაციის, ადაპტაციის, სტრუქტურის შეცვლის, სხვა ენაზე გადათარგმნის, დეკომპილაციის, გაქირავების და აგრეთვე ამ პროგრამული პროდუქტის საფუძველზე ნაწარმოები პროდუქტების შექმნის უფლება.
3. **უფლებების გადაცემა**. მოცემული ლიცენზიური შეთანხმებით **მიმწოდებელს** ეკრძალება მისთვის მინიჭებული უფლებების მესამე მხარისათვის გადაცემა.

   მოქმედების ვადა. ლიცენზიური შეთანხმება მოქმედებს მანამდე, სანამ იგი არ იქნება გაუქმებული. **შემსრულებელს** აქვს უფლება დაუყონებლივ გააუქმოს ლიცენზიური შეთანხმება **შემსყიდველის** მიერ მისი რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში. ამ დროს **მიმწოდებელს** ჩამოერთმევა მოცემული ლიცენზიური შეთანხმებით მინიჭებული უფლება გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი.

   შეზღუდული გარანტია. პროგრამული პროდუქტის მუშაობაში რაიმე დეფექტის შემჩნევისას **მიმწოდებელს** შეუძლია აცნობოს **შემსრულებელს** ან მის რომელიმე პარტნიორს. ისინი შეეცდებიან აღნიშნულის აღმოფხვრას უმოკლეს ვადაში. **მიმწოდებელი** არ იღებს პასუხისმგებლობას პროგრამული პროდუქტის გამოყენებით საბოლოო მომხმარებლის მიერ საქმიანობის იურიდიულად და ფინანსურად სწორ წარმართვაზე. აგრეთვე **მიმწოდებელი** არ აგებს პასუხს რაიმე პირდაპირი, ირიბი, უცაბედი ან სხვა დაზიანებისათვის, როგორიცაა მონაცემების დაკარგვა და სხვა. **შემსყიდველის** მონაცემების მთლიანობაზე პასუხს აგებს თვითონ **შემსყიდველი**. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროგრამის მუშაობა იყო ტესტირებული და შესაბამისად, მიღებული იქნა მაქსიმალური ზომები მისი სტაბილური და უსაფრთხო მუშაობისათვის.
4. **რეკომენდაცია**. **მიმწოდებელი** იძლევა რეკომენდაციას პროდუქტის შეძენის შემდეგ სწავლების კურსის ჩატარება მოახდინოს იმ ორგანიზაციამ ან კერძო პირმა, რომელსაც ექნება ამ პროდუქტზე სწავლების უფლების "სერთიფიკატი".

დანართი 2

დამატებითი მომსახურების ტარიფები **SuperFin**

მომსახურების სახე	**ფასი**
საკონსულტაციო გაკვეთილები	
გაკვეთილი - *(ხანგძლიობა 30 წთ. GSS ოფისში, ერთჯერადად)* **გაკვეთილი GSS ოფისში მოსვლით 1 საათი** **გაკვეთილი ოფისში გასვლით 1 საათი**	- 32 68
ერთმომხმარებლიანი ვერსია	
ხელახალი ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით	32
ხელახალი ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით ყოველ დამატებით კომპიუტერზე	22
ხელახალი ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში	68
ხელახალი ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში ყოველ დამატებით კომპიუტერზე	32
განახლება GSS ოფისში / ინტერნეტით	22
განახლება GSS ოფისში / ინტერნეტით დამატებით კომპიუტერზე	14
განახლება მომხმარებლის ოფისში	50
განახლება მომხმარებლის ოფისში ყოველ დამატებით კომპიუტერზე	14
I ხარისხი ბაზის გასწორება	50
II ხარისხი ბაზის გასწორება	68
III ხარისხი ბაზის გასწორება	85
ბაზის განულება	68
ბაზის განულება ყოველი დამატებითის	32
ბაზის გაყოფა	85
ბაზის გაყოფა ყოველი დამატებითის	50
ქსელური ვერსია	
სერვერის ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით	68
სერვერის ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში	103

კლიენტის ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით	32
კლიენტის ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით ყოველ დამატებით კომპიუტერზე	22
კლიენტის ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში	68
კლიენტის ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში ყოველ დამატებით კომპიუტერზე	32
ბაზის გასწორება	103
ბაზის განულება	85
ბაზის განულება ყოველი დამატებითის	50
ბაზის გაყოფა	103
ბაზის გაყოფა ყოველი დამატებითის	68
ტექნიკური მომსახურება	
GSS ოფისში / ინტერნეტით	32
მომხმარებლის ოფისში	68

მომხმარებლის ოფისში გასვლა ხორციელდება თბილისის მასშტაბით

დანართი 3

„SuperFin 6” ყოველთვიური მომსახურების ღირებულებაში შესული დამატებითი მომსახურება:

- კითხვა-პასუხი “GSS ოფისში”, ყოველ ოთხშაბათს, წინასწარი ჩაწერით;
- ქსელური და ერთმომხმარებლიანი ვერსიების განახლება;
- ქართული კლავიატურის დაყენება;
- ახალი ბაზის გახსნა ქსელურ და ერთმომხმარებლიან ვერსიებში;
- rs.ge-ის პარამეტრების გასწორება და NET Framework დაყენება;
- სუპერფინის პირველი გვერდის ჩასატვირთად Internet Explorer-ის განახლება;
- დაზიანებული ჩანაწერების წაშლა;
- ანტივირუსის გამონაკლისებში დამატება;
- მაიკროსოფტ ექაუნთზე დარეგისტრირება;
- საკონსულტაციო / პრობლემა დახმარება ინტერნეტით / თიმვიუერით;
- სადემონსტრაციო ვერსიის ინსტალაცია;
- **www.gsscode.ge** ვებ-გვერდზე განთავსებული კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების და ამავე ვებ-გვერდზე არსებული მომსახურების გამოყენების უფლება 1.1 პუნქტში მითითებული მომხმარებლების რაოდენობის შესაბამისად;